საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ვრასტან“

„ვრასტან” (სომხ. – „საქართველო”), ყოველკვირეული დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი სომხურ ენაზე. დაარსდა 1920 თბილისში „კარმირ ასტხის” („წითელი ვარსკვლავი”) სახელწოდებით. სხვადასხვა დროს ერქვა „მარტაკოჩი” („საბრძოლო ძახილი”), „პროლეტარი”, „სოვეტაკან ვრასტან” (1940-იდან). იყო საქ. კპ ცკ-ის, უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. 1990-იდან „ვ.” ეწოდა. რედ. – ვან ბაიბურთი (1987-იდან). გაზეთის საქმიანობის ძირითადი მიმართულება: მკითხველის ინფორმირება საქართველოს *პოლიტ.*, ეკონ. და კულტ. ცხოვრების შესახებ. აქვეყნებს საქართვ. პრეზიდენტის ბრძანებულებებს, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, სხვა მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტებს. ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრული სულისკვეთების, ქართ.-სომხ. სახელმწიფოებრივ და კულტ. ურთიერთობათა განმტკიცებას.